საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოціალური დაცვის სამინისტრო

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 001162

19 ოქტომბერი 2020 წ. ქ. თბილისი

თვითმმართველი ქალაქი/მუნიციპალიტეტი

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექციის დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულების დარეგისტრირების

ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი და გვარი

2. სამართალდამრღვევი: შპს „სკალა" ს/კ 405321512 იურიდიული მის: ქ. თბილისი ივანე ჭავჭავაძის ქ. N33. ფაქტობრივი მის: ქ. თბილისი, სოფ. დიღომი ნ. ანჯაფარიძ-ოსმაღლიანის ქ. N13. დირექტორი:

სახელი, გვარი, პირადი №, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მიხედვით / იურიდიული პირის შემთხვევაში - დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მიხედვით

3. მოწმე(ები)/დაზარალებულ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში):

სახელი, გვარი, მისამართი

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი:

შპს „სკალა" ფაქტობრივი მის: ქ. თბილისი, სოფ. დიღომი ნ. ანჯაფარიძ-ოსმაღლიანის ქ. N13. ობიექტი შემოწმდა 2020 წლის 12 სექტემბერს საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" დარღვევულია საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ".

მუხლი 7.

მუხლი 6. პუნქტი 1. „ა,ბ,გ,დ,ე,ვ" ქვეპუნქტები

მუხლი 5, პუნქტი 1. „ვ.ბ" ქვეპუნქტი და მუხლი 6, პუნქტი 3. „ბ" ქვეპუნქტი.

მუხლი 5, პუნქტი 2, პუნქტი 3.

მუხლი 6, პუნქტი 3 „ი" ქვეპუნქტი.

მუხლი 5 პუნქტი 1 „დ" ქვეპუნქტი.

მუხლი 5, პუნქტი 1 „ვ.ა" ქვეპუნქტი.

მუხლი 5, პუნქტი 9.

მუხლი 8 პუნქტი 1, „ა" ქვეპუნქტი.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით N477 2017 წლის 27 ოქტომბერი საქართველოს უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

მუხლი 16, პუნქტი 2. პუნქტი 7; მუხლი 15; მუხლი 5. „ა" და „ბ" ქვეპუნქტები; მუხლი 14. პუნქტი 9; მუხლი 13, პუნქტი 1 და 2; მუხლი 6. პუნქტი 1; მუხლი 16, პუნქტი 4.

საქართველოს მთავრობის დადგენილება N361 2014 წლის 27 მაისი „მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.

მუხლი 4, პუნქტი 2.

5. დარღვეულია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი და 23-ე მუხლის პირველი პუნქტი

მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი

6. დარღვევის გამოსასწორებლად მიცემული ვადა: 10 (ათი) დღე

სიტყვიერად

7. სახდელის სახე, ოდენობა: გაფრთხილება (ლარი - ჯარიმის შემთხვევაში)

8. დამრღვევის ახსნა-განმარტება: [illegible]

9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

10. ოქმის შემდგენელი:

11. სამართალდამრღვევი. _ /

12. მოწმე: _____ / _____ /

სახელი და გვარი ხელმოწერა

13. დაზარალებული: _____ / _____ /

სახელი და გვარი ხელმოწერა

14. დოკუმენტები, რომლებიც ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს:

პატიმრის დანართი N1.

საქმის გადასაწყვეტად საჭირო ცნობები, მასალები და ა.შ.; დამრღვევის ახსნა-განმარტება ან მის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები

15. შენიშვნა: _____

16. სამართალდამრღვევი პირის მიერ ხელმოწერაზე ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა:

დამკვეთი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი+“
სფს-ს რეგისტრაციის № 25-5468

შენიშვნა

ოქმის მეორე მხარეს აღინიშნება:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე; თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; 10 დღის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლით დადგენილი წესით გასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება) ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (მის.: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში.

გაფრთხილება!

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამრღვევმა ჯარიმა ნებაყოფლობით უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან (გაცნობიდან) 30 დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევის [illegible]

<u>დანართი №1</u>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ N 144
ტელ: (032) 2 51 00 26

მ ი თ ი თ ე ბ ა №001162/ო

შედგენის თარიღი 22.09.2020წ

საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის მიერ, დამრღვევის მიმართ სახდელის სახედ გაფრთხილების ან ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში გასცემს მითითებას გონივრული ვადაში დარღვევების გამოსწორების შესახებ სამშენებლო ობიექტისთვის:

სამართალდამრღვევი

ობიექტის დასახელება: შპს „სტატუსი“.
საიდენტიფიკაციო კოდი: ს/ნ 405345121.
დირექტორი: [illegible] ბელ[illegible]
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ივანე ბერიტაშვილის ქ. N33.
ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, სოფ. დიღომი ნ. აბაშიძე-ორბელიანის ქ. N13.
ეროვნული კლასიფიკატორები (NACE 2016):
F.41.20.0 საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.
დასაქმებულთა რაოდენობა: სულ 15, ქალი 0, კაცი 15.
საკონტაქტო პირი/ინფორმაცია:
შრომის უსაფრთხოების მენეჯერი:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის ინსპექტორების მიერ საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ და უბედური შემთხვევის მოკვლევის საფუძველზე 2020 წლის 12 სექტემბერს ქ. თბილისში, ნ. აბაშიძე-ორბელიანის N13-ში მდებარე შპს „სტატუსი“-ს კუთვნილ სამშენებლო ობიექტზე განხორციელდა ინსპექტირება. ინსპექტირების პროცესში მოვახდინეთ დამსაქმებელთან და დასაქმებულებთან გასაუბრება, სამშენებლო ობიექტის დათვალიერება და ფოტო-ვიდეო გადაღება.

მშენებლო ობიექტზე ვერ მოხდა შპს „სტატუსი“-ს შრომის უსაფრთხოების მენეჯერის იდენტიფიცირება, კომპანია ვალდებულია ჰყავდეს/მოიწვიოს შრომის უსაფრთხოების სფეროში დასახული ამოცანების შესრულების ორგანიზებისათვის მენეჯერი რომელსაც გავლილი ექნება შესაბამისი აკრედიტებული პროგრამა.

ინსპექტირების პროცესში ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის **პოლიტიკის დოკუმენტი,** რომელიც უნდა ითვალისწინებდეს

დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა სახის საქმიანობის დროს და საწარმოს მმართველობის ყველა დონეზე, ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი საფრთხეების იდენტიფიცირების და რისკების შეფასების დოკუმენტი, რაშიც იგულისხმება სამუშაო პროცესში წარმოქმნილი საფრთხეების იდენტიფიცირება, გამოვლენა, რისკის სიდიდის, მნიშვნელობის განსაზღვრა და პრევენციული ღონისძიებების გატარება.

სამშენებლო ობიექტზე დასაქმებულები არ არიან სრულად აღჭურვილი აუცილებელი ეფექტური ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. კერძოდ: სპეც.ფეხსაცმელი, რესპირატორი, სათვალე, დამცავი ქამარი/ღვედი, შემდუღებლისათვის სპეც ტანსაცმელი, სპეც ხელთათმანები და სხვა. არ ხდება ინდივიდუალური დაცვის საშუალებების კონტროლი მათ ვარგიასიანობაზე, ტექნიკური გამართულობაზე და მათ სწორად გამოყენებაზე. ასევე არ ხორციელდება დაზიენებული იდს-ების დრულად შეცვლა ახლით.

კომპანიამ ვერ წარმოადგინა რისკების მართვის სისტემაზე დაფუძნებული და სამუშაო სპეციფიკის შესაბამისი ინსტრუქციები: შრომის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი სამართლებრივი ნორმების, სამუშაო დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და აღჭურვილობის უსაფრთხოდ გამოყენების და შეკეთების ინსქტრუქციების, საგანგებო სიტუაციებში, საევაკუაციო ღონისძიებების განხორციელების შესახებ. აღნიშნული სწავლებების განხორციელება უნდა მიმდინარეობდეს დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად და მოხდეს მისი დოკუმენტირება. აქედან გამომდინარე დასაქმებულები სამშენებლო მოედანზე მუშაობენ კანონმდებლობით დადგენილი წესების უგულვებელყოფით, კერძოდ დასაქმებულებთან გასაუბრებისას გაირკვა, მათვისაც სამუაოების განხორციელება უწევთ ობიექტზე არსებულ სხვადასხვა ტექნიკურ აღჭურვილობასთან არ უტარდებათ სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლება ინსტრუქტაჟები.

სამშენებლო ობიექტზე გამოსაყოფია პირი რომელიც უფლებამოსილი იქნება გონივრული ეჭვის საფუძველზე ზედამხედველობა გაუწიოს და არ დაუშვას სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი დასაქმებული. სამშენებლო სამუშაოები წარმოადგენს მომეტებული საფრთხის შემცველ საქმიანობას, შესაბამისად აუცილებელია თითოეულმა დასაქმებულმა იცოდეს თუ როგორ და რა მდგომარეობაში მყოფმა უნდა განახორციიელოს სამუშაოები.

ობიექტზე არ ხორციელდება სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების, პროფესიული დაავადებების და საშიში შემთხვევების აღრიცხვა, გამოვლენა. ობიექტზე მომხდარი ნებისმიერი როგორც შემდგარი ასევე არშემდგარი ინციდენტი, არის გარკვეულწილად საინფორმაციო ხასიათის მატარებელი, რათა ხელმძღვანელობამ მოახდინოს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი შესაძლო შემთხვევები.

სამშენებლო ობიექტზე გამოიყენება ცირკული ხერხი, არმატურის საჭრელი, არმატურის საღუნი, ამწე მოწყობილობა (პიონერი), დუღაბის საქაჩი ტუმბო, ზემოაღნიშნული ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმების დოკუმენტაცია ვერ იქნა წარმოდგენილი დამსაქმებლის მხრიდან. შესაბამისად არსებობს ტექნიკური აღჭურვილობებიდან გამომდინარე სხვადასხვა სახის საფრთხეების წარმოქმნის შესაძლებლობა, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს დაშავება ან გარდაცვალება.

მშენებლობა, რომელიც წარმოადგენს მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებს, აუცილებელია ობიექტზე დასაქმებულები იყვნენ დაზღვეული უბედური შემთხვევის დაზღვევით.

იქ სადაც არ არის საწარმოო ექიმი, აუცილებელია ობიექტი იყოს აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებით სააფთიაქო ყუთით.

სამშენებლო ობიექტზე დასაქმებულებს უნდა ჰქონდეს ჩატარებული სწავლება სიმაღლიდან ვარდნის დამცავი საშუალებების შესაბამის გამოყენებაზე, სამშენებლო სექტორში სიმაღლიდან ჩამოვარდნა უბედური შემთხვევების დიდ ნაწილს წარმოადგენს. ისინი უმეტესად მძიმე დასახიჩრებით ან ფატალური შედეგით მთავრდება, ამიტომ ყველა მუშამ და მათმა ზედამხედველმა უნდა გაიაროს სწავლება სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის შესახებ, სწავლება უნდა იყოს დოკუმენტირებული და უნდა ჩატარდეს პერიოდულად სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე.

სამშენებლო ობიექტზე ლიფტის შახტები, ღიობები ნებისმიერი ადგილი, სადაც შესაძლოა დასაქმებული მოხვდეს არ არის დაფარული ხუფით ან და ფენილით რაც დასაქმებულთათვის წაბორძიკების, წაქცევის ან სიმაღლიდან ჩამოვარდნის საფრთხეს წარმოადგენს. ხუფები უნდა დამონტაჟდეს ისე მყარად, რომ შეუძლებელი იყოს მისი შემთხვევითი გადაადგილება, ხუფებს უნდა ჰქონდეს გამაფრთხილებელი წარწერა „ორმო", „ხუფი".

სამშენებლო ობიექტზე ღია ნაპირები, კიბის უჯრედები, სამუშაო პლატფორმები საიდანაც შეიძლება დასაქმებული გადმოვარდეს არ არის დაცული მყარი მოაჯირებით, მოაჯირი უნდა შედგებოდეს ვერტიკალური, ზედა, შუა და ქვედა ჰორიზონტალური (ნივთების ჩამოვარდნის თავიდან ასაცილებლად) ძელებისაგან რათა არ მოხდეს დასაქმებულის სიმაღლიდან ვარდნა მისი დასახიჩრება ან ფატალური შედეგის დადგომა.

სამშენებლო ობიექტზე გამოიყენება კუსტარული წესით დამზადებული ხის კიბეები.

სამშენებლო ობიექტზე არ არის განსაზღვრული განსაკუთრებით საშიში ზონები, რომელიც უნდა იყოს შემოფარგლული მაფრთხილებელი ბარიერებით, უსაფრთხოების ნიშნებითა და შესაბამისი წარწერებით.

სამშენებლო ობიექტზე მანქანა–მექანიზმების მუშაობის ზონაში არ არის განთვსებული მაფრთხილებელი ნიშნები.

სამშენებლო ობიექტზე იყენებენ ხის კუსტარულ ხარაჩოებს.

სამშენებლო ობიექტზე დასაქმებულებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მათ არ აქვთ გავლილი სწავლება უბედური შემთხვევისას პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ.

N	გაცემული მითითებები
1	დამსაქმებელმა დანიშნოს/მოიწვის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტირებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის N01/25ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს; **საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“** **მუხლი 7.**
2	ორგანიზაციამ შეიმუშავოს და დანერგოს თანმიმდევრული პრევენციის ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოს და შრომის პროცესის თავისებურებებს. საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეთ წერილობითი დოკუმენტი თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირების, რისკის შეფასების და მართვის სისტემაზე. კერძოდ: **1.** გამოავლინეთ საფრთხის შემცველი ფაქტორები; **2.** გამოავლინეთ ის დასაქმებულები რომლებიც იმყოფებიან საფრთხის ქვეშ; **3.** შეაფასეთ რისკები და დაგეგმეთ გასატარებელი ღონისძიებები; **4.** გაატარეთ შესაბამისი ღონისძიებები საფრთხეების აღმოფხვრისა და რისკების შესამცირებლად; **5.** აწარმოეთ სისტემატური მონიტორინგი და აკონტროლეთ ნარჩენი რისკები. სამუშაო ადგილზე და სამუშაო სივრცეში განსაზღვრეთ კონკრეტული დანადგარებიდან, საწარმოო პროცესებიდან გამომდინარე საფრთხეები და დანერგეთ რისკის შეფასების სისტემა. საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრისას გაითვალისწინეთ ადამიანური ფაქტორები და აკონტროლეთ ნარჩენი რისკები. **საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“** **მუხლი 6, პუნქტი 1. „ა,ბ,გ,დ,ე,ვ.“ ქვეპუნქტები.**
3	დასაქმებულები და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირი უფასოდ აღჭურვეთ აუცილებელი ეფექტიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით: სპეც.ფეხსაცმელით, რესპირატორი, სათვალე, დამცავი ქამარი/ღვედი, შემდუღებლისათვის სპეც ტანსაცმელი და სპეც ხელთათმანები. უზრუნველყავით ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე, ტექნიკური გამართულობა, გააკონტროლეთ მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალეთ ისინი. **საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“** **მუხლი 5, პუნქტი 1. „ვ.ბ“ ქვეპუნქტი.** **მუხლი 6, პუნქტი 3. „ზ“ ქვეპუნქტი.**
4	მოხდეს დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე მიაწოდეთ ინფორმაცია: შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ; სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ; საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ; არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. დასაქმებულების დაქირავებისას, მათ მიერ სამუშაოს შესრულების დაწყებამდე; დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას;

	ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვამდე, ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენების ან/და საწარმოო პროცესის ცვლილების დაწყებამდე; განმეორებით, თავის მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად ან საჭიროების მიხედვით. **საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“** **მუხლი 5, პუნქტი 2, პუნქტი 3.**
5	მოხდეს კონტროლი სამუშაოზე დასაქმებულების ან/და სხვა პირების, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება და ამ მიზნით შიდა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვროს დასაქმებულების ან/და სხვა პირების ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნულ პროცესს. **საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“** **მუხლი 6, პუნქტი 3, „ი“ ქვეპუნქტი.**
6	სამშენებლო ობიექტზე აღრიცხეთ სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები, პროფესიული დაავადებების შემთხვევები და საშიში შემთხვევები და მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელს; **საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“** **მუხლი 5, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.**
7	შეამოწმეთ ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა და მოახდინოს მისი დოკუმენტირება **საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“** **მუხლი 5, პუნქტი 1, „ვ.ა“ქვეპუნქტი.**
8	მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაო ადგილებზე დასაქმებული პირები საკუთარი ხარჯებით უზრუნველყავით უბედური შემთხვევის დაზღვევით. **საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“** **მუხლი 5, პუნქტი 9.**
9	საწარმოს სიდიდის, საქმიანობის სფეროსა და სხვა პირობების გათვალისწინებით მიიღეთ პირველადი სამედიცინო დახმარებისა უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომები. **საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“** **მუხლი 8, პუნქტი 1, „ა“ ქვეპუნქტი.**
10	სიმაღლეზე მომუშავეებს ჩაუტარდეთ სწავლება სიმაღლიდან ვარდნის დამცავი საშუალებების შესაბამის გამოყენებაზე. პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს თითოეული დასაქმებულისათვის ვარდნის საფრთხის გამოცნობის შესაძლებლობას და უნდა მოიცავდეს ამ საფრთხის მინიმუმამდე შემცირების მიზნით აუცილებელ პროცედურებს. ყველა სწავლება უნდა იყოს დოკუმენტირებული და უნდა მოიცავდეს შემდეგს: ა) განხილულ მოდულებსა და საკითხებს; ბ) სწავლების ადგილს; გ) ტრენერის სახელს/გვარს; დ) სწავლების თარიღს; ე) სწავლების მონაწილეთა მონაცემებს; ვ) დასაქმებულის ხელმოწერას. **საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 16, პუნქტი 2. პუნქტი 7.**
	მოხდეს დაფარვა სპეციალური ხუფით ან/და ფენილით სამშენებლო ობიექტზე არსებული ღიობების და ნებისმიერი ადგილის სადაც შესაძლოა ადამიანების ვარდნა.

11	**საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 15. მოთხოვნები ღიობების მიმართ.**
12	სამშენებლო ობიექტზე კიბის უჯრედები, სამუშაო პლატფორმები სადაც არსებობს სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე დამონტაჟდეს მყარი მოაჯირები. მოაჯირი უნდა შედგებოდეს ვერტიკალური, საყრდენი, ზედა და შუა ჰორიზონტალური ძელებისგან. მოაჯირის ძირზე (სამუშაო პლატფორმაზე) უნდა იყოს დამონტაჟებული მინიმუმ 10 სმ-ის სიმაღლის ქვედა ჰორიზონტალური ძელი. შუა ჰორიზონტალური ძელი უნდა განთავსდეს სამუშაო პლატფორმიდან 50-60 სმ-ის სიმაღლეზე. მყარი მოაჯირის სიმაღლე უნდა იყოს სამუშაო ზედაპირიდან 90-120 სმ; **საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 5. „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.**
13	სამშენებლო ობიექტზე ხმარებიდან იქნეს ამოღებული კუსტარული წესით დამზადებული ხის კიბეები. **საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.** **მუხლი 14. პუნქტი 9.**
14	სამშენებლო მოედანზე განსაზღვრეთ განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს მაფრთხილებელი ბარიერით, უსაფრთხოების ნიშნებითა და შესაბამისი წარწერებით („ფრთხილად“, „ვარდნის საფრთხეა“, „არ გადაკვეთოთ“). **საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.** **მუხლი 13. მოთხოვნები მაფრთხილებელი ბარიერების მიმართ, პუნქტი 1 და პუნქტი 2.**
15	ობიექტზე განთავსდეს მანქანა–მექანიზმების მუშაობის ზონაში გამაფრთხილებელი ნიშნები. **საქართველოს მთავრობის დადგენილება №361 2014 წლის 27 მაისი „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.** **მუხლი 4, პუნქტი 2.**
16	ობიექტზე არსებული კუსტარული ხარაჩოები ჩაანაცვლეთ სწორად დაპროექტებული, ქარხნულად დამზადებული და მოვლილი ხარაჩოებით, რათა გამოირიცხოს მათი ჩამოშლა ან შემთხვევითი გამოძრავება. **საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე.** **მუხლი 6, პუნქტი 1.**
17	ობიექტზე დასაქმებულებს ჩაუტარეთ სწავლება უბედური შემთხვევისას პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ. **საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 16, პუნქტი 4.**

დამრღვევის ახსნა-განმარტება მითითების ვადასთან დაკავშირებით

(ზედამხედველი ორგანოს მიერ დადგენილი გონივრული ვადა შეიძლება შეთანხმდეს სამართალდამრღვევთან, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე)

მითითების გამოსასწორებელი ვადა შეადგენს 30 კალენდარულ დღეს.

მითითების გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი):
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.

შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახური, გაცემული მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აღინიშნება საწარმოს ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ:

ა) მითითება შესრულდა.
ბ) მითითება არ შესრულდა.

მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის უფლებამოსილი პირი იყენებს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს და აღნიშნავს მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში.

მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი)

_____

სამართალდამრღვევის პირის მიერ მითითების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა:

_____

_____

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის

უფლებამოსილი პირ(ები)ი:

სამართალდამრღვევი:

დანართი № 1.1

ზედამხედველი ორგანოს მიერ სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმი

1. ზოგადი ინფორმაცია			
ოქმი №	თარიღი: 22. 09. 2020	ოქმის შემდგენი პირი სახელი, გვარ პ/ნ· ტელ: 599102107	უბედური შემთხვევის სახე საშუალო/მძიმე/ფატალური/ მასობრივი ფატალური

2. მოკვლევის ჩატარების საფუძველი	მოკვლევის ჩატარების საფუძველი: საქართველოს ორგანული კანონი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბერის ბრძანება №01-11/ნ „სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესის და ფორმის, მოკვლევის პროცედურებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე"

3. ინფორმაცია საწარმოს/ორგანიზაციის შესახებ

კომპანიის დასახელება: შპს ,,სტატუსი"
ს/კ: 405345121
ტელ: [illegible]
მის: ქ. [illegible]ისი,სოფ. დიღომი ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქ. N13
საქმიანობის სფერო: მშენებლობა
დაწესებულების ხელმძღვანელი: [illegible]

4. ინფორმაცია უბედური შემთხვევის შესახებ

უბედური შემთხვევის თარიღი: 12 სექტემბერი 2020 წ. 17 საათი. 30 წუთი.

უბედური შემთხვევის ფაქტობრივი შედეგი	ქონების დაზიანება	სამუშაო პროცესიდან გამომდინარე

■ გარდაცვალება ☐ ჯანმრთელობის დაზიანება ☐ სახიფათო შემთხვევა ☐ სხვა _____	☐ შენობა/შენობის ნაწილი ☐ აღჭურვილობა ☐ ტექნიკური დანადგარი ☐ სხვა _____	დიახ ■ არა ☐

4.1 დაშავების ტიპი (თუ დადგენა შესაძლებელია)

☐ იარა/ნაკაწრი ☐ ამპუტაცია ☐ ასფიქსია/მოხრჩობა ☐ ცხოველის/მწერის ნაკბენი ☐ დამწვრობა ☐ თავის ტვინის დახურული ტრამვა/ჰემატომა ☐ ტვინის შერყევა	☐ ღრძობა/დაჭიმულობა ☐ ელექტროშოკი ☐ ინფექცია ■ მოტეხილობა ☐ დასხივება ☐ სხვა:

4.2 სხეულის დაზიანების ლოკაცია (თუ დადგენა შესაძლებელია)

☐ ზედა კიდური ☐ ქვედა კიდური ☐ ხერხემლის სვეტი ☐ გულ-მკერდი ☐ ყური ☐ თვალი ☐ თითის ფალანგი	☐ მენჯ-ბარძაყი ☐ შინაგანი ორგანოები ☐ სახის მიდამო ☐ თავის ტვინი ■ თავი ☐ სხვა _____

4.3 დაშავებულ(ებ)ის /გარდაცვლილ(ებ)ის პირადი ინფორმაცია
(შენიშვნა: ორზე მეტი დაშავებულის პირადი ინფორმაცია წარმოადგინეთ დანართის სახით)

სახე გვარი პ/ნ: ტელ: _____ მის: ლანჩხუთის რაიონი სოფ. საკეთი დაბადების თარიღი: 14. 01. 1985წ სამუშაო პოზიცია: მლესავი	დასაქმების თარიღი: 04. 09. 2020წ სამუშაო სტაჟი, უბედური შემთხვევის მოხდენამდე: 4 დღე ცვლიანობის ხანგრძლივობა: არანორმირებული სამუშაოზე დაშვებამდე ჩატარებული სამედიცინო შემოწმება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ წარმოუდგენია

4.4 ინფორმაცია ჩატარებული შესაბამისი ინსტრუქტაჟის/ სწავლების შესახებ

მოკვლევის განხორციელების დროს, ვერ იქნა წარმოდგენილი ინსტრუქტქჟების/სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
4.5 მონაცემები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემები
5. უბედური შემთხვევის აღწერა
სამუშაო პროცესის აღწერა: ინსპექტირების მიერ მოკვლვის ჩატარების განხორციელებისას დამსაქმებელთან და დასაქმებულებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის 12 სექტემბერს შპს ,,სტატუსი"-ს სამშენებლო ობიექტის მე-5 სართულის კიბის უჯრედში შაქრო კუჭუხიძე ასრულებდა ლესვით სამუშაოებს ე.წ. ,,ესპანკა"-ს. იგი მუშაობის დროს კუთხსახეხით ახდენდა კედელში დარჩენილი არმატურის ფრაგმენტის მოჭრას, რა დროსაც მოხდა მისი მეხუთე სართულიდან ვარდნა და ადგილზე გარდაცვალება.
6. მოწყობილობა, ხელსაწყო, ინსტრუმენტი, დანადგარი და სხვა, რომელმაც გამოიწვია უბედური შემთხვევა (მწარმოებელი, სახელწოდება, მოდელი, გამოშვების წელი) კუსტარულად დამზადებული ხის გადასატანი ხარაჩო
7. თანდართული მასალა:

ფოტო ■		თვითმხილველთა ჩვენებები ☐	სხვა მასალები: ☐
ესკიზები ☐		სამედიცინო დასკვნები ☐	

თვითმხილველები	პირადი ინფორმაცია	პოზიცია	კომპანიის დასახელება
	1. _____ (სახელი, გვარი, პ/ნ, ტელ.)		
	2. _____ (სახელი, გვარი, პ/ნ, ტელ.)		
	3. _____ (სახელი, გვარი, პ/ნ, ტელ.)		

8. უბედურ შემთხვევასთან კავშირში მყოფი პირის ან შემთხვევასთან კავშირში მყოფი პირების (გვარი, სახელი,	_____ _____ _____ _____ _____ _____

თანამდებობა, საკონტაქტო მონაცემები) ქმედების აღწერა	

9. უბედური შემთხვევის დროს საწარმოო გარემოს პირობები:
(**ფიზიკური**, ქიმიური, ბიოლოგიური, ფსიქოსოციალური ფაქტორები)
სიმაღლეზე მიმდინარე სამუშაოები.

10. უბედური შემთხვევის ანალიზი
(უშუალო და არსებითი/სისტემური ფაქტორები):

უშუალო მიზეზი

სიმაღლეზე კუსტარული გადასატანი ხარაჩოს გამოყენებით მიმდინარე სამუშაოები.

სისტემური მიზეზი

სამუშაოს არასწორი დაგეგმარება და რისკის შეფასების პროცესის არარსებობა - კომპანიის მხრიდან ობიექტზე სამუშაოების დაწყების წინ არ განხოციელდა საფრთხეების ინდეტიფიცირება და რისკების შეფასება. შესაბამისად არ იყო განსაზღვრული პრევენციული ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც დასაქმებულათათვის უზრუნველყოფდა უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას. დასაქმებულები, არ იყვნენ ინფორმირებული იმ საფრთხეების შესახებ რომელიც არსებობდა მათ მიერ შესასრულებელი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე. მაგალითად: არ იყო შეფასებული მეხუთე სართულზე კიბის უჯრედში არსებული საფრთხეები, როგორიცაა დაუცველი ღიობები, არასრული კოლექტიური და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, მაფრთხილებელი და სარეკომენდაციო ხასიათის ნიშნები, კუსტარული ხის გადასატანი ხარაჩოები, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო დასაქმებულთა ადექვატური ტრენინგის/ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათი უნარების დასადასტურებლად შესაბამისი დადასტურება.

ტრენინგი/ინსტრუქტაჟი/სწავლება - კომპანიის მხრიდან არ იქნა წარმოდგენილი ტრენინგების განხორციელების ჟურნალი. დასაქმებულები არ ფლობდნენ შესაბამის სრულად არსებული საფრთხეებისა და მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმებით განსაზღვრულ, უსაფრთო სამუშაო პროცედურების შესახებ შესაბამის ინფორმაციას.

სამუშაოების განხორციელება იდს-ების გარეშე- დასაქმებულები არ იყვნენ აღჭურვილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, კერძოდ სამუშაოებს სიმაღლეზე ახორციელებდნენ სამუშაო ღვედი/ქამრის გამოყენების გარეშე. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ დასტურებს იმ ფაქტს, რომ კომპანიის მხრიდან შრომის უსაფრთოების საკითების მიმართ არ იქნა ჯეროვანი ყურადღება დათმობილი, კერძოდ დამსაქმებლის პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს დასაქმებული ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით არ იქნნა შესრულებული, ხოლო ამასთანავე არ განხორციელდა ზედამხედველობა თუ დამსაქმებელს ჰქონდა შეძენილი, ხოლო დასაქმებულები არ გამოიყენებდნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს, მიანიშნებ კომპანიის მიერ შესაბამისი საკონტროლო ღონიშძიებების ნაკლოვანებაზე. აღსანიშნავია, რომ კონტროლის მექანიზნი და ვალდებულება, შრომის უსაფრთოების შესახებ ორგანული კანონის მიხედვით ასრულებით ეკისრება დამსაქმებელს. აღნიშნული კონტროლის ზომების ნაკლოვანებებზე მიუთითებს ასევე ის გარემოება, რომ კომპანიამ ვერ წამოადგინა თუ რა კონტროლის ზომებით/მეექანიზმებით ახდენდა ის დასაქმმებულთა კონტროლს, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების თუ სხვა უსაფრთოების ნორმების შესრულებაზე.

კოლექტიური დაცვის საშუალებების არქონა- არ იყო განსაზღვრული განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა ყოფილიყო აღჭურვილი შესაბამისი მაფრთხილებელი ბარიერებითა და ნიშნებით. ასევე კიბის უჯრედში არ იყო მოწყობილი ე. წ. ტროსი სადაც დასაქმებულები განახორციელებდნენ ჩაბმას.

შეასრულოს დასაქმებულმა ხელმძღვანელის მითითებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას ლეგიტიმურია, მაგრამ ვინაიდან მშენებლობა მიეკუთვნება განსაკუთრებით მაღალი რისკის სექტორს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია,

სამუშაოს თითოეულ ასპექტზე, სამუშაოს დაწყებამდე ხდებოდეს საფრთხის შეფასება და შესაბამისი ადექვატური ტრენინგის განხორციელება, რომელიც მოცემულ სიტუაციაში არ იყო სრულფასოვნად განხორციელებული.

კუსტარული მოწყობილობების გამოყენება-ობიექტზე იყენებენ კუსტარულ ხის გადასატან ხარაჩოებს.

აღნიშნული ვითარება შრომის უსაფრთოების თვალსაზრისით იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ კომპანიას შრომის უსაფრთოების დაცვისა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაში ჰქონდა ნაკლოვანებები, რომელიც უბედური შემთვევის დადგომის თვალსაზრისით ხასიათდება და სისტემურ ხასიათს ატარებს.

11.ზედამხედველი ორგანოს დასკვნა

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ 01-11/ნ ბრძანების შესაბამისად განხორციელებული უბედური შემთხვევის მოკვლევა ეფუძვნება დამსაქმებელთან, დასაქმებულებთან გასაუბრებას.

უშუალო და სისტემური მიზეზების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კომპანიას აქვს სისტემური ხარვეზები შრომის უსაფრთოების დაცვის თვალსაზრისით, კერძოდ

1. საფრთხის იდენტიფიცირების და რისკის შეფასების პროცესი - მოკვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ კომპანიის მხრიდან არ განხორციელებულა სრულად საფრთხეების იდენტიფიცირება და რისკების შეფასება კერძოდ, ობიექტის მეხუთე სართულზე მიმდინარეობდა ლესვითი სამუშაოები, სამუშაოების დაწყებამდე და დასაქმებულთა სამუშაოზე დაშვებამდე არ განხორციელდა საფრთხეების იდენტიფიცირება,

დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ"
მუხლი 6. პუნქტი 1. ქვეპუნქტები „ა" - „დ".

2. სწავლება, კვალიფიკაცია, კომპეტენცია - ობიექტზე დასაქმებულები არ იყვნენ უზრუნველყოფილი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე შესაბამისი სწავლებით/ ტრენინგებით. კერძოდ, სიმაღლეზე მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით, სამუშაო პროცედურების და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთოდ და სწორად გამოყენების შესახებ.

დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 5. პუნქტი 2. პუნქტი საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 16.

3. მაფრთხილებელი ბარიერები - სამშენებლო მოედანზე არ იყო განსაზღვრული განსაკუთრებით საშიში ზონა, რომელიც უნდა შემოიფარგლოს მაფრთხილებელი ბარიერით, უსაფრთხოების ნიშნებითა და შესაბამისი წარწერებით („ფრთხილად", „ვარდნის საფრთხეა", „არ გადაკვეთოთ"). ასევე კიბის უჯრედში არ იყო მოწყობილი ე. წ. ტროსი სადაც დასაქმებულებიგანახორციელებდნენ ჩაბმას.

დარღვეულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 13.

4. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება - ობიექტზე სიმაღლეზე სამუშაოები მიმდინარეობდა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების გარეშე. კერძოდ, სიმაღლეზე სამუშაოები განხორციელდა სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო ქამრების და ღვედის გამოყენების გარეშე.

დარღვეულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 11, პუნქტი 1.

5.კოლექტიური დაცვის საშუალებების გამოყენება - ობიექტზე არ იყო განთავსებული დამჭერი მოწყობილობა (ტროსი ან ანკერი) რაზეც დასაქმებული მოახდენდა ჩაბმას.

დარღვეულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 12.

6.კუსტარული მოწყობილობების გამოყენება - ობიექტზე სამუშაოები მიმდინარებს კუსტარული მოწყობილობების კერძოდ კუსტარული ხის გადასატანი ხარაჩოებით.

დარღვეულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №477 2017 წლის 27 ოქტომბერი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. მუხლი 6. პუნქტი 1.

7. დამსაქმებელი თავისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში ობიექტის საფრთხიდან გამომდინარე მაქსიმალურად ვეკ
აკონტროლებს დასაქმებულთა მხრიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და მოთხოვნების მკაცრად შესრულებას:
საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მუხლი 5, პუნქტი 1, „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ კომპანიაში არ იყო სრულად დანერგილი შრომის საფრთხოების უსაფრთხო სისტემა.

11.1 საკანონმდებლო მოთხოვნებისა და ტექნიკური რეგლამენტების დარღვევა/შეუსრულებლობა, რომელმაც გამოიწვია უბედური შემთხვევა

1) საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“
2) საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №477 „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.

11.2 უბედური შემთხვევის მიზეზების აღმოფხვრის ღონისძიებები, ვადა
11.2 უბედური შემთხვევის მიზეზების აღმოფხვრის ღონისძიებები, ვადა.
უბედური შემთხვევის მიზეზების აღმოფხვრის და რეციდივის პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებები და ვადები განსაზღვრულია ----- -------- წლის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში.

ხელმოწერა:

გვიანი, ჩვენამდე დოკუმენტი: